16.09.01	16.00	323	ანტი0:0; 1:1ალანია; გორკოვო3:1 ლუკოვნიკი V მსა ზილი:1; 0:0ანტი; როსტოვსკი0:0	1,65	3,2	5,0				1:2	1:0 3:4	0:1 1:0	2:1 1:0	
17.09.01	16.00	324	1:2სპარტაკი; ჩერნომორეცი2:1; 1:2სოკოლი დინამო V როგორი ფაალი0:0; 1:2სატურნი; ზილი0:0	1,7	3,0	5,0				2:1	4:2 2:0	2:1 2:1	0:0 2:2	
17.09.01	16.00	325	0:4ტოკო მოგვი; ესკა0:0; ალანია3:2 ანტი V ზინიტი ალანია3:0; 2:3გორკოვო; კრილია1:1	2,5	3,0	2,5				1:1	0:1 3:2			
17.09.01	16.00	326	2:0სოკოლი; ზინიტი3:2; 1:3ტოკო მოგვი ტოკოვო V ჩერნომორეცი კრილია0:0; 1:2დინამო; ფაალი1:0	1,35	4,0	7,5	1,9	3,2	2,6	5:0	0:1 2:1	3:1 2:1	2:3 1:1	
გადაღობა			0:0ჩერნომორეცი; სოკოლი0:0; 1:1უნიტი ჩილინი V სპარტაკი დინამო2:1; 5:0ფაალი; სატურნი0:0							0:1	1:2 2:1	0:3 3:1	0:2 2:2	

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	თ	მ	ფ	გ	ბ	ქ	მ	ფ	გ	ბ	ქ	მ	ფ	გ	ბ	ქ
1 სპარტაკი მოსკოვი (1)		1:0	27:10	1:0	22:09	0:0	1:0	0:0	10:10	2:1	1:0	5:1	1:1	1:1	3:0	5:0	23 13 7 3 39:18 46	8 4 0 21:4 28	5 3 3 18:14 18													
2 ლუკოვნიკი მოსკოვი (2)	21:10		5:1	1:2	3:1	1:1		30:09	4:0	4:1	2:0	04:11	3:1	1:0	1:0	4:0	23 12 6 5 41:18 42	9 1 1 29:7 28	3 5 4 12:11 14													
3 ზინიტი სანტ პეტერბურგი (7)	2:1	22:09		1:1	0:3	2:1	30:09	1:1	1:1	2:1	04:11	3:1	3:0	4:0	2:1	21:10	23 12 6 5 40:29 42	7 3 1 21:11 24	5 3 4 19:18 18													
4 ჩილინი სპარტაკი სპარტაკი (14)		1:1	1:0		3:0	21:10	0:0	1:0	0:0	04:11	3:0	30:09	1:1	2:1	3:1	0:0	23 11 7 5 28:16 40	6 5 0 15:4 23	5 2 5 13:12 17													
5 როგორი მოსკოვი (3)	2:0	1:1	3:2	0:4		1:4	1:3	6:2																								











# ჩვენთან სიხარული, თქვენთან სიყვარული

## ევროპის ჩემპიონებმა პრი ჟურჯი გამოიყვანეს

**10 სექტემბერს** იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში, მერიის წინ, მოედანზე ნემსი არ ჩავარდებოდა. მრავალ ათეულ ათასი აღზნებული იუგოსლავიელი დიდი მღელვარებით ელოდა რაღაცას. აგერ, ერთი წელია, ქვეყნის ყბადღებელი პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი გადააყენეს და მას შემდეგ ბელგრადის ცენტრალურ მოედანს მსგავსი ხალხმრავლობა არ ახსოვს. შინა თუ გარეომებით დატანჯულ სერბებს თითქოს მღელვარება და მასობრივი აჯანყება აკლდათ, მაგრამ ამ შემთხვევაში ქვეყნის პოზიციას თუ ოპოზიციას ნამდვილად არაფერი ჰქონდა თავში საცემი. უბრალოდ, იმ დღეს ბოლო წლებში დიდ სიხარულს დანატრებული იუგოსლავიელი ხალხი ეროვნულ გმირებს, ევროპის ჩემპიონ-კალათბურთელებს ეგებებოდა.

ამ უქმეებზე თურქეთში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე იუგები მერვედ გახდნენ კონტინენტზე უძლიერესები. კვირას ფინალში მასპინძელი თურქების დამაჯერებელი ძლიერობა სლავებმა დაიბრუნეს ევროპაში ყველას ძლიერობა ოფიციალური ტიტული, რომელიც ორი წლის წინ საფრანგეთში დაკარგეს. სხვათა შორის, ბოლო ოთხ ჩემპიონატში ეს სლავთა შესაძლო ტრიუმფია.

ბელგრადელთა მღელვარებამ პიკს მასშინ მიადწია, როდესაც მერიის აივანზე გამოჩნდნენ ისინი, ვისაც დაახლოებით 50 ათასი ადამიანი რამდენიმე საათი ელოდა. ხალხი ერთი აუწყურელი დრიანტელით, დროშების ფრიალითა და მამუხლებების სროლით შეეგება დეიან ბოდროვას, პრედრაგ სტოიაკოვიჩს, პრედრაგ დრობნიაკს, დრეგან ტარლანს, სხვებს და მათ დამრიგებელ სვეტისლავ პეშინს. ევროპის ჩემპიონობის დამადასტურებელი საბუ-

თის, თასის დანახვაზე ხომ სულ გადაირია ბრბო.

„ეს ფანტასტიკაა, როგორც იქნა, ჩვენ კვლავ გამოვედით ქუჩებში და ყველანი ერთად ვხიშობთ რაღაცას. წარმოუდგენლად ვამაყობთ ამ ბიჭებით. მათი გამარჯვება ყველა აქ მყოფის და კიდევ მრავალი მილიონი ადამიანის გამარჯვებაა. უზომოდ გვიხარია“ — ეს რიგითი ბელგრადელი მოქალაქის, 18 წლის ელენა ბოშკოვიჩის სიტყვებია.

„დიდი მადლობა ყველას აქ მოსვლისთვის და ჩვენი დაფასებისთვის. ეს დღე განსაკუთრებულია ჩვენთვის. ეს გამარჯვება მილიონად იუგოსლავიელ ხალხს ეკუთვნის“ — მშობელ ერს პატივისცემა დაუფასა ნაკრების მწვრთნელმა სვეტისლავ პეშინმა.

„ჩვენ გვინდოდა ეს თქრო მოგვეყო ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ხედავთ, ეს რამხელა სიხარულია მათთვის. ჩვენთვის კი ამ თქროს მედალზე მეტი ჯილდო მათი სიყვარულია“ — ამბობს იუგოსლავიელთა ერთ-ერთი ლიდერი, ნა-ელი ვარსკვლავი პრედრაგ სტოიაკოვიჩი, რომელსაც იუგოსლავიის ჩემპიონობაში ლომის წილი უდევს და აკი დაასახელეს კიდევ ევროპის ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშედ.

სიხარული სიხარულად, მაგრამ დაბობილი, თუმც მანც ლამაზი ბელგრადი ვერ გადაურჩა რევას. დამთავრდა თუ არა კვირა საღამოს იუგოსლავია — თურქეთის ფინალური მატჩი, ასეულობით გადარეულმა იუგოსლავიელმა სიხარული მინი-აჯანყებით გამოხატა და დედაქალაქის დაუცველ პუნქტებს შეესია. ცენტრალურ ბელგრადში არც ერთ მაღაზია-კოსის არ შერჩენია ფანჯარა-ვიტრინა და სანამ საქმეში სერიოზულად არ ჩაერვნენ პოლიციის სპეცრაზმები, გადარეულ სერბთა დამოშმინება არ მოხერხდა. ღამით მომხდარით დამფრთხალმა წესრი-

გის დამცველებმა ორშაბათს ყურადღება გაათმავეს, თუმც ქვეყნის საამაყო შვილებთან შეხვედრამ სერიოზული მღელვარების გარეშე ჩაიარა.

ევროპული თქრო ხომ მათია და ახლა იუგოსლავიელები წინ იყურებიან და მსოფლიოს დაპყრობა განუზრახავთ. „ჩვენ წინსვლა გვსურს, უფრო მეტი გვწყურია და გვინდა, მომავალ წელს ინდიანაპოლისში მსოფლიოს ჩემპიონატიც მოვიგოთ. იქ ჩვენ ყველას უნდა მოვუგოთ, ამერიკის ნაკრებს, „დრიმ თიმსაც“ კი“ — ამბობს იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანი დეიან ბოდროვა, რომელიც თურქეთში გატყევილი ცხვირით თამაშობდა და ამის მიუხედავად, პრედრაგ სტოიაკოვიჩთან ერთად შეძლო თავისი გუნდის გამარჯვების სულის ჩამდგმელი ყოფილიყო. აურაცხელი ტიტულის თუ ჯილდოს მფლობელი ბოდროვა ერთი მოკრძალებული ბიჭია და ასეთი განცხადებების გაკეთება არ სჩვევია. როგორც ჩანს, მას საყვარელი რეალურად მიანია ამერიკელთა მათსავე სახლში დამარცხება და მსოფლიოს ჩემპიონობა. ისე კი იუგოსლავია მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია, 1998 წელს ათენში უმარჯვია, სადაც ფინალში რუსები წააქცია. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ნა-ს ვარსკვლავების გარეშე გამოვიდა და მესამე ადგილს დასჯერდა.

იუგოსლავიის ნაკრები ნა-ელ ბიჭებს მხოლოდ ერთხელ დაჯახებია, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადის ფინალში. იმ შეხვედრის დასაწყისში სლავები ასე თუ ისე მედგარ წინააღმდეგობას უწყევდნენ ამერიკელებს, თუმც საბოლოოდ 69:96 დამარცხდნენ. დეიან ბოდროვას ზემონახსენები სიტყვების თქმის საფუძველს, ალბათ, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე ნა-ელთა საკმაოდ სუსტი თამაში თუ აძლევს.

### ირაკლი ფირაფხილი



ბელგრადელები ევროპის ჩემპიონატის მოგებ იუგოსლავიელ კალათბურთელებს ესალმებიან


**მოსწავლეთა საყურადღებოდ!**  
**ბანათლების სამინისტროს**  
**კომპიუტერული ცენტრი „მზიური“**  
**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას**  
**პერსონალური კომპიუტერის**  
**შემსწავლელ ჯგუფებში**  
**მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები**  
**მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17**

სტატისტიკა				
მოთამაშე	ქვეყანა	მაშ.	რაიონ.	საშ.
<b>ქულა</b>				
დირკ ნოვიცი	გერმანია	7	201	28,7
პრედრაგ სტოიაკოვიჩი	იუგოსლავია	6	138	23,0
იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	6	130	21,6
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	6	115	19,2
კასპარს კამბალა	ლატვია	7	133	19,0
პაუ გასოლი	ესპანეთი	7	121	17,3
აინარს ბაგატსკისი	ლატვია	6	103	17,2
სერგეი ჩიკალკინი	რუსეთი	6	102	17,0
დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	7	117	16,7
ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	4	64	16,0
<b>მოხსნა საკუთარ შარშში</b>				
პაუ გასოლი	ესპანეთი	7	56	8,0
დირკ ნოვიცი	გერმანია	7	48	6,9
კასპარს კამბალა	ლატვია	7	47	6,7
ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	6	39	6,6
გრეგორ ფურკა	იტალია	4	23	5,7
იანივ გრინი	ისრაელი	4	23	5,7
მირსად თურქჯანი	თურქეთი	6	31	5,2
ადემოლა ოკულაია	გერმანია	7	34	4,9
ემილიო კოვარიჩი	ხორვატია	7	33	4,7
ჟან ტაბაკი	ხორვატია	7	33	4,7
<b>მოხსნა მეტოქის შარშში</b>				
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	6	24	4,0
ადემოლა ოკულაია	გერმანია	7	23	3,3
მირსად თურქჯანი	თურქეთი	6	19	3,2
ემილიო კოვარიჩი	ხორვატია	7	21	3,0
რობერტო კიარიგი	იტალია	4	11	2,7
ჰუსეინ ბეშოქი	თურქეთი	6	16	2,6
ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	6	15	2,5
ეურელიუს ჟუკაუსკასი	ლიტვა	4	10	2,5
კასპარს კამბალა	ლატვია	7	16	2,3
დირკ ნოვიცი	გერმანია	7	16	2,3
<b>პასი</b>				
რაიმონდს მიგლინიეკი	ლატვია	7	51	7,3
ლორან სკიარა	საფრანგეთი	6	32	5,3
თეოდოროს პაპალუკასი	საბერძნეთი	4	20	5,0
შარუნას იასიკევიჩუსი	ლიტვა	4	19	4,8
ანდრეა მენეგინი	იტალია	4	19	4,8
ევგენი პაშუტინი	რუსეთი	6	27	4,5
რობერტს შტელმახერსი	ლატვია	7	27	3,9
მარკო იარიჩი	იუგოსლავია	6	23	3,8
სერგეი პანოვი	რუსეთი	6	23	3,8
დამირ მულაომეროვიჩი	ხორვატია	7	26	3,7
<b>ჩაჭრა</b>				
რამუნას შიშკაუსკასი	ლიტვა	4	14	3,5
მარკო იარიჩი	იუგოსლავია	6	17	2,8
ანდრეი კირილენკო	რუსეთი	6	17	2,8
სერგეი პანოვი	რუსეთი	6	16	2,7
ჯანლუკა ბაზილე	იტალია	4	9	2,3
იბრაჰიმ ქუთლუაი	თურქეთი	6	13	2,2
ევგენი პაშუტინი	რუსეთი	6	12	2,0
შარუნას იასიკევიჩუსი	ლიტვა	4	7	1,7
იოავ საფარი	ისრაელი	4	7	1,7
ანდრეა მენეგინი	იტალია	4	7	1,7



# გაიკლ ჯორდანი კალათბურთის უბრუნდება... 99.9 პროცენტით

**აიმაკალი** სეზონიდან დაიწყო მთავარი საკუთარი კლუბის, „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მისიურას მორიგებს და მოედანზე გავა. „მე მინდა, კიდევ რამდენიმე წელიწადს ვითამაშო“ — ეს თავად მაიკლის სიტყვებია, რომლებიც მისმა პაერის უდიდებულესობამ გუშინწინ, ორშაბათს, განუცხადა „ასოშიეთიდ პრესის“ და სააგენტო სი-ენ-ენის ოფიციალური სპორტული ვებ-გვერდის კორესპონდენტებს. თავად მაიკლის გამოცხადება არ ხერხდება და მისი დაბრუნების უკუგადაწყობა ამ სააგენტოებმა გააგრძელეს. მათი წარმომადგენლები ორშაბათს შუადღისას ჯორდანს ერთი დარბაზის კართან შეხვდნენ, სადაც თურმე მაიკლს ჯერჯერობით გაურკვეველ კალათბურთელეთთან გემორივლად წაუთამაშია, რათა საბოლოოდ დარწმუნებულიყო, შეძლებდა თუ არა ნბა-ს მოედანზე კვლავ გასვლას.



ჯორდანი

„ჯერ ვიტყვი, რომ ბრწყინვალე ფორმაში ვარ, მუხლი ოდნავ მაქუხდება, ზურგი და ამას წინათ გატყვილი ორი ნეკინი საბოლოოდ არ მომიშუშებია, მაგრამ მილიანობაში თავს ურიგოდ არ ვგრძნობ. თუ ჩემს ოდინდელ თამაშს ათი ქულით შევაფასებთ, ახლა მე შევიძინებთ ვიღაც ვიღაც“ — ამბობს ჯორდანი.

რუნდებით?“ „მხოლოდ კალათბურთის თამაშის სიყვარულის გამო“ — ამბობს ჯორდანი.

„მანქანაში ჩავლომის წინ მაიკლმა გვითხრა: „მე ნამდვილად ვბრუნდები. ამ ათი დღის განმავლობაში თქვენ ამას ოფიციალურად მოისმენთ პრესკონფერენციაზე. ასე რომ, ბიჭებო, შევიძლიათ გაუშვათ თქვენი წერილები“ — წერენ ზემოხსენებული სააგენტოები. „მოდე ვეროთვალე გამარჯობა, მსოფლიო!“ — ამბობს მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი კალათბურთის ჩამგდები. იგი მესამედ მოიღის კალათბურთში.

მაიკლ ჯორდანის გარეშე კალათბურთი არ იყო სრულყოფილი, ვერც მაიკლმა გაძლიერა კალათბურთის გარეშე ამ გახფხფულზე, როდესაც მას ვინ იცის, მუამდინედ დაეკითხნენ, აბრებთ თუ არა კვლავ გაგვაგებინებთ თქვენი მოედანზე ხილვით, მაიკლმა გადაწყვიტა პასუხი გასცა, არაფერსაც არ ვაბრებ, კალათბურთიდან წასული ვარო და იქვე დაამატა, 99.9 პროცენტით.


ახლა იგი თავის საქმეში ამდენივე პროცენტით დაბრუნდება. თავისი კლუბის კალათბურთელთა საკლავის შემხედვარეს გულმა ვერ მოუთმინა და ნბა-ს ექვსი ჩემპიონობის, ათი ბიშპარდირის და ხუთი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულების, აგრეთვე კლუბ „ვაშინგტონ ვიზარდსის“ მფლობელმა და პრეზიდენტმა გადაწყვიტა მისი დაბრუნება და კიდევ ერთხელ დააფეთა საკალათბურთო სამყარო. თითქმის საბოლოოდ გადაწყვეტილი, ჯორდანი არა საბრუნდებო სკამიდან, არამედ საკუთარი ხელ-ფეხით დაეხმარება ვაშინგტონელ „ჯადოქრებს“ ჭაობიდან ამოსვლაში.

ჯორდანს რომ ჯერაც გადასარევედ ეხერხება მოედანზე სირბილი და კალათბურთის ჩაგდება, ეს ამ ხაფხულს ნბა-ს მოთამაშეებთან ამხანაგურმა გაჯიბრებებმა დაამტკიცა. მაიკლმა ვიდეოკაზმით კი არა, სუპერგარსკვლავებთან წაივარჯიშა და გამოსცა და თავისი დღევანდელი შესაძლებლობები. იგი თავს ამოწმებდა ანფერნი 3 არდევიისთან, მაიკლ ფინლისთან, ანტუან უოლკერთან და სხვა მძლავრ მოთამაშეებთან პაერობაში. ჯორდანს როგორც ჩანს, დაბრუნება ორი დღის წინ არ გადაწყვიტა და მხოლოდ ახლა, 10 სექტემბერს, ალბათ იმიტომ თუ განაცხადა, რომ ერთ-ერთი ასეთი ვარჯიშისას ორი ნეკინი ჩამტვრია, ამიტომ რაიმეს თქმისგან თავს იკავებდა. როდესაც მაიკლი დარწმუნდა, რომ სხვებს თუ რაიმეში ჩამოეწვება, ტრავმების ბრალის და ისინი კი თითქმის მოვიშუშეო, უკან აღარ დაიხია.

„ჩიკაგო ბულზი“ უძლიერესი გუნდი იყო, 90-იანი წლებში ყველა შემხედვარს გადაუარა, მაიკლ ჯორდანი კი იმ „ჩიკაგოს“ ნახევარი გახლდათ. ახლა იგი შედარებით ასაკოვანია, სამი წელია, არ უთამაშია და ნუ ვიტყვით, რომ ჯაჯაღა „ვაშინგტონში“ მეშვიდე ჩემპიონობა გარანტირებული აქვს, მაგრამ ნურც იმას დაევიწყებთ, ვინაა მაიკლ ჯორდანი. მასთან ერთად დღედაღამა ქვეყნისთვის აუხდენელი ოცნება აღარ იქნება თუნდაც პლეი ოფში მოხვედრა, „ჯადოქრები“ უცდილობდა დაიძვრებინა ცხრილის ფსკერიდან. ესეც ხომ საქმეა ამ უხერხულ გუნდისთვის. მაგრამ აქ საკითხავი ესაა — თავად მაიკლს და მის მქუხარე სახელს რას მოუტანს სპორტული სიბერის კარზე მთავარებისას იქ დაბრუნება, სადაც ყველა მისი ვასალი იყო?

ირაკლი შირაშიანი

# პროსტმა ბურტის შემცვლელი იპოვა პირველი ჩემპიონი სამოტო რეკორდებში



ალეკსანდრო ზანარდი

თუმცა სრულ გამოჯანმრთლებამდე კლინიკაში კიდევ საკმაო ხანი დაჰყოს და მხოლოდ გუშინწინ გაუშვეს ექიმებმა შინ.

ამრიგად, მძღოლთა გადარჩენის პრაქტიკულად უნაკლო სისტემამ მორიგ უმკაცრეს გამოცდას გაუძლო. დღევანდელ კულპარდი („მაკლარენის“ პილოტი): „კარგია, რომ საავტომობილო სპორტის ხელმძღვანელობა ჩვენს რჩევებს ითვალისწინებს და შესაბამის ღონისძიებებსაც ახორციელებს. თუკი ასეთი ავარიის შემდეგ მრბოლები ფეხზე დგანან, ეს ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ცუდად არ გვიმუშავია. ათიოდე წლის წინ მსგავსი შემთხვევა პილოტის დაღუპვით დასრულდებოდა.“

ბურტი, ბუნებრივია, მომდევნო ეტაპზე, 16 სექტემბერს ვერ იასპარეზებს. ამიტომ აღენ პროსტს მისი შემცვლელის ძებნა მოუხდა. თავიდან „ფერარის“ ტესტდრაივერ ლუკა ბადორზე იყო ლაპარაკი, შემდეგ კიდევ რამდენიმე კანდიდატურა გამოჩნდა. ესენი იყვნენ: „პროსტის“ სათადარიგო მრბოლი სტეფან სარაზენი, ფორმულა 3000-ის წლევენი ჩემპიონატის მონაწილეები მარკ ვეგერი და ტომას ენე. არც ლუჩანოს თანამემამულე ტარსო მარკეშის ვარიანტი იყო გამოირჩეული. ბრაზილიელი ახლა უსაქმოდ — დარჩენილ სამ ეტაპზე „მინარდის“ გუნდში მას 25 წლის მალაიზიელი ალექსი იონგი შეცვლის. მარკეშის მოხსნის მიზეზი წლეულს 13 რბოლაში მისი უსუსური, უქულო გამოხვევა გახდა.

ბევრისთვის მოულოდნელად, ბურტის ადგილი ენგეს ანდეს. მესამე სეზონია, რაც 25 წლის ჩეხი უძცროს, ფორმულა 3000-ში ასპარეზობს, მაღალპროფესიული თვისებებით გამოირჩევა და სწორედ ამოტომატა შეაჩერა „პროფესორმა“ მასზე არჩევანი. ტომასმა სამდღიანი საგანგებო ტესტგამოცდა ჩინებულად ჩააბარა და საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელებისგან ფორმულა 1-ის ბოლინის მართვის სუპერლიცენზიაც მიიღო.

ენე პირველი ჩეხი პილოტია, ვინც სამოტო რბოლებაში მიიღებს მონაწილეობას.

ზინა ახალაძე

# ქართული სპორტის ოთხი კატეგორია

**გუშინ** სპორტის დეპარტამენტში ამ უწყების უფროსმა ირაკლი მექმარიაშვილმა პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც თავის მოადგილესთან, მერაბ მეტრეველთან ერთად მოკლედ მიმოიხილა წლეულის მიღწეული შედეგები. ამ მხრივ დეპარტამენტის თავმჯდომარეს ქართველი სპორტსმენების წარმატებათა სიმწირის გამო ბევრი სასაუბრო არც ჰქონია, თუმცა მასპინძლები თავს საპრესკონფერენციო მაგიდაზე გამოფინდეს თასით იწონებდნენ, რომელიც ქართველმა სუშინისტებმა ახლანაჲ პოლანდიაში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე გუნდური მეორე ადგილისათვის მიიღეს.

ლიოს პირველობაზე გაემგზავრონ. ამისათვის აუცილებლად მიმანია, პარლაკენტმა მიიღოს ევრეთ წოდებული ქვეყნის მოქმედების კანონი, რომელიც საბიუჯეტო გადასახადებთან გაათავისუფლებს იმ მექმარეებსა თუ ბიზნესმენს, რომელიც გუნდებს ან ცალკეულ სპორტსმენებს დააფინანსებს.

გამომდინარე ისევე და ისევე უსახსრობიდან, მომავალ წელს ალბათ უარს ვიტყვით ახალგაზრდულ და კადეტთა ნაკრებების ფინანსურ უზრუნველყოფაზე და მხოლოდ ეროვნული გუნდებს დაგვიფინანსებთ.

...მომავალი წელი იქნება პროგრამული დაფინანსების წელი. ჩვენ შევიშუშავთ ოთხი კატეგორიის ვაკუფი. პირველში შედიან ფედერაციები, რომლებსაც ყველაზე მაღალი შედეგები აქვთ. მათ 75-100 პროცენტით დაფინანსებთ. მეორე ვაკუფში არიან ფედერაციები, რომლებიც 50 პროცენტით დაფინანსდება, დანარჩენი თანხები მათ თვითონ უნდა მოიძიონ. იქნება სახეობის, რომლებსაც 25 პროცენტს აუუნახლავებთ და ბოლო კატეგორიაში შევლენ ის სპორტული სახეობები, რომელთა დაფინანსება განსაკუთრებულ შემთხვევაში მოხდება.

ამ ბოლო ხანებში დიდი მითქმამითქმა გამოიწვია კალათბურთში შექმნილმა ვითარებამ. სპორტის დეპარტამენტმა ყველაფერი გააკეთა, მრავალ ფედერაციას ჩამოატარა თანხა და კალათბურთის გამოყოფა. მათ საბოლოოდ 35 ათასის ნაცვლად 110 ათასი ლარი აითვისეს. რატომ უნდა ხდებოდეს ასე? რამდენი ლეგიონერი ჰყავს საქართველოს ნაკრებს? შეი-

დი-რვა. სად არის მათი ტრანსფერებიდან მიღებული თანხები? მე ვუსვამ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ასეთ კითხვას: თუ ამდენი ლეგიონერი ჰყავს ნაკრებში, სად არის სატრანსფერო თანხები?... ისინი არც ფედერაციის ანგარიშზეა და არც მათი კლუბების. მაშინ, როცა კალათბურთის ფედერაციაში ასეთი მდგომარეობაა, ფარების შესამეინ ფულს ჩვენგან ელოდებიან, რა პრეზიდენტობაზე და რომელ ამბიციებზეა ლაპარაკი. ფედერაციის როგორი პრეზიდენტი ჰყავს, ისეთი შედეგიც აქვს. მე ამას ხმაშიღლა ვაცხადებ, ვისთვისაც არ უნდა იყოს საწყენი.

მერე ურუნალისტების ჯერიც დაგდა და პირველი კითხვა კალათბურთის მეხუთე დეპარტამენტის თავმჯდომარემ ნაკრების თამაშების პერიოდში თბილისში არყოფნა მოიმიზეხა და იმ დროის ქრონიკების აღსაწერად სიტყვა თავის მოადგილეს, მერაბ მეტრეველს გადაულოცა.

იმის მიყოფას, რაც იქ ითქვა, ახლა არ შეუდგებათ. მეტრეველმა თხუთმეტი წუთის მანძილზე უსახსრობაზე, მოუშაზდებლობაზე, ირანის ტურნირზე ვერგამგზავრებაზე, მატარებელზე, ბორანზე, მსაჯობაზე და კიდევ იმისთანებზე ილაპარაკა, რომელთა კითხვით თუ მოსმენით გულშემატკივარს კარგა ხანია, ყურები გამოეჭვლია.

ბოლოს ირაკლი მექმარიაშვილს სამოსს ნაკრების შესახებ დაეკითხნენ, რაზეც ქართული სპორტის შეფმა ბოლინი მოიხადა, სამბოსთვის გამოყოფილი თანხები მათ მიერ სრულიად ათვისებულადა და შეხვედრაც დასრულდა.

ირაკლი აგბათია

# ბასპაროში რეგიონს წმენდიან ენევე

**ამ** ბოლო ხანს ჭადრაკში სანაკრებო მატჩების იდეა ყველის. ზაფხულში თათრეთ — ევროპის ისტორიული შეფერილობის მატჩი ფაიშით დასრულდა ახლა გეგანტები, რუსეთი და ჩინეთი ერკნებთან ერთმანეთს შევინჯნენის სისტემით, რაც 6 ვაჟის, 3 ქალისა და 3 ოქროისგან შემდგარი ნაკრებების ბრძოლას გულისხმობს. კასპაროვის, კრამნიკისა და კარპოვის არყოფნის მიუხედავად, რუსები პეკინს სოლიდური გუნდით შეესივნენ, რომელსაც ფიდელს ექსპნემპიონი ალექსანდრე ხალიფმანი მიუძღვის. ჩინელ ქალებსაც აკლიათ მსოფლიოს ჩემპიონი სიუ ჟუნი (იგი არგენტინაში, ნაიდორფის მემორიალზე თამაშობს), მაგრამ რუს დაცვებს მედგრად ებრძვიან და 4 ტურის შემდეგ ქალთა ანგარიში 4,5:4,5-ია, რასაც ვაფებსა და ოქროებზე ვერ ვიტყვით. იქ ორივემ რუსებმა მეტოქეზე უსტად ორჯერ მეტი ქულა დააგროვეს და საერთო ანგარიშში მათი უპირატეხობა ჯერ სრულიად აშკარაა — 22,5:13,5.

ვარზე, ბათუმში უნდა შედგეს. ევროპისა და აზიის ნაკრებების უმრავლესობისთვის მოჭადრაკე თამაშებს, სიუ ჟუნი არგენტინიდან ჩამოვა და, რაც მთავარია, კარგა ხნით ადრე ნათქვამს გაემიჯნებთ, ევროპის ნაკრების პიველ დაფაზე გარი კასპაროვი ითამაშებს.

გავარკვიეთ ამ საპატიო პერსონის საქართველოში სტუმრობის ზოგიერთი ახალი დეტალი. როგორც ადრე გაუწყვეთ, შეთანხმებას ხელი კასპაროვმა და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტმა ბორის გულბინმა საბერძნეთში მოაწერეს, მაგრამ კასპაროვის გადაწყვეტილებით ერთ-ერთი მთავარი როლი ზურაბ ახმაფარაშვილის ფაქტორმაც ითამაშა. ქართველი დიდოსტატი კასპაროვს კარპოვის წინააღმდეგ წარმოებულ ეპიკურ ბატალიებში 7 წლის მანძილზე სეკუნდანობდა და ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ.

კასპაროვი თურმე ჯერ თბილისში ჩამოვა და ბათუმისკენ გეხს აქედან აიღებს. თბილისში მას ხეგ ელდა და 14 სექტემბერსავე, საღამოს 8 საათზე მსოფლიოს ექსპნემპიონი აჭარის წარმომადგენლობაში მატჩის პრეზენტაციას დაესწრება.

დავით გულუა

# სარბიელი

**იყიდა**  
ერთობისა და ჩვეურო პროექტის ბინა  
ვახუშტის IV მკრ. II კვ. მე-5 სართოლი  
**ტელ: 75 99 49**



# ბუსებმა და საკლიმ ტიტულს ფული მიუგაბას



არაბმა ბრაჰიმ ბულამიმ წმინდა კენიური დისციპლინა, სტიპლინიზი მოიგო

მელბურნიში სეკელის არხინად ყოფნის უფლება მეტ-ნაკლებად ჰქონდა, საერთო ჩათვლაში უახლოეს მდევარს 10 ქულით უსწრებდა. მას, ალბათ, რომელიმე საპრიზო ადგილი (ან უფრო ნაკლებიც) ყველამდე ჰყოფნიდა, მაგრამ 50 ათასი სულ რაღაც კილომეტრნახევრის გარბენისთვის? სეკელი მუყაითად გაიქცა ფინისისკენ, დაჩაგრვა ტრადიციული მეტოქეები: პორტუგალიელი კარლა საკრამენტო და რუსი ნატალია გორელოვა. კიდევ ერთხელ ჩამოვთვალთ სეკელის ტიტულები სამდღეოს სეზონის ფაქტობრივ ფინიშზე: მსოფლიოს ჩემპიონი, „ოქროს ლიგის“ ლაურეატი, „გრან პრის“ გამარჯვებული. მეტი რაღაც იყო?

ვაკებში ბევრად კრიტიკული სიტუაცია სუფევდა. მელბურნის ფინალის წინ საერთო ჩათვლის ლიდერობა ჩავიგო მოთარგმნებელ ჯონსონმა, ოლონდ მეტად სათუოდ. ჯონსონს 2 ქულის სავალზე მიჰყვებოდნენ შვეიცარიელი მოსაშუალოე ანდრე ბუხერი და სიგრძეზე ხტომის ოსტატი, ამერიკიდან კევი დილვორტი. ამ დროს კი ჯონსონს მელბურნიში, ვინ იცის, მერამდენად კუბელი ანიერ გარსიასთვის უნდა გაეხსნა, რომელიც სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია, მაგრამ წლეულს ძირითადად ჯონსონი ასწრებდა ხოლმე, მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონატზე ედმონტონში.

მოხდა ისე, რომ მელბურნიში კუბელმა აჯობა წამის ექვსი მეასედით. ჯონსონმა მიიღო 21 ქულა და სამციფრიანი ხვდარს კი უწია, მაგრამ მისი ბედი ბუხერის ან დილვორტის ხელში იყო. დილვორტის არ გაუპაროდა და სამეულშიც ვერ მოხვდა. დარჩა ბუხერი, რომელიც წლეულს საშუალო დისციპლინაზე ერთპიროვნულად მეფობს. მელბურნიში ბუხერს სულ ნაცნობი მეტოქენი ჰყავდა: რუსი იური ბორზაკოვსკი, ბურუნდელი ჟან პატრიკ ნდუევიამა და შვეი ფერის სხვა ათლეტები,

რომლებთან პაექრობისას ბუხერი მუდამ ამგვარ სტრატეგიას მიმართავს — თავიდანვე წინ გაავრდება და სიჩქარის შენარჩუნებას ცდილობს. ასე იყო მელბურნიშიც. ავსტრალიის ნომერ მეორე ქალაქში კი ბუხერმა გაარკვია, რომ რბოლა „კურდღლების“ გარეშე იქნებოდა, ამიტომ ტაქტიკური ბრძოლა არჩია ჯიქურ მიწოლას. „ეს ძლიერ სახიფათო იყო — თქვა ბუხერმა როლის შემდეგ — რადგან იური (ბორზაკოვსკი) სწორედ დასკვნით სპრინტშია ძლიერი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა“. ძალიან დაძაბული საფინალი სპრინტი ბუხერმა ბორზაკოვსკის 0,07 წამით მოუგო და ამ ციქნა სხვაობამ „იააფის გრან პრის“ გამარჯვებული შეცვალა: ბუხერმა ჯონსონს 1 (!) ქულით გაუსწრო, მესამე კი იყო მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი სრულიად მრგვალი 100 ქულით, რისი დაგროვებაც მან მელბურნიში 1500 მეტრის მოგებით შეძლო.

ელ გურუჯისთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. კენიელმა ბერნარდ ლაგამა იცის, რომ მაროკოელის გვერდით რბენისას მისი უმაღლესი შედეგი მეორე ადგილი იქნება და ეს საქმე მელბურნიშიც პატიოსნად გააკეთა, ჩვენ კი სანამ შაბაშს ვიჭყიდეთ, მივუთითოთ, რომ მელბურნიში საკმაოდ უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — კენიელმა სტიპლინიზი წააგო. გუბებთან-თარგმნებთან 3000 მეტრის გაღვივებას ეშურებოდნენ რუბენ კოსგეი, სტივენ ჩერონი და კენიის სხვა რჩეული ხალხი, მაგრამ მიუღიო სეზონის მანძილზე პრინციპულად ან უფრო უარესად მაკლამა მაროკოელმა ბრაჰიმ ბულამიმ მელბურნიში ხელი გამოიღო. შაკვრებამან ყველა შვეი უკან მოიტოვა და თავის დისციპლინის საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია დაიკავა. თქმა არ უნდა, რომ მასზე წინ კენიელები დამკვიდრდნენ.


ახლა კი ის დროა, იააფ-ის ელიტარულ ასპარეზობათა სერიას წერტილი დაუუსვათ.

რომლებთან პაექრობისას ბუხერი მუდამ ამგვარ სტრატეგიას მიმართავს — თავიდანვე წინ გაავრდება და სიჩქარის შენარჩუნებას ცდილობს. ასე იყო მელბურნიშიც. ავსტრალიის ნომერ მეორე ქალაქში კი ბუხერმა გაარკვია, რომ რბოლა „კურდღლების“ გარეშე იქნებოდა, ამიტომ ტაქტიკური ბრძოლა არჩია ჯიქურ მიწოლას. „ეს ძლიერ სახიფათო იყო — თქვა ბუხერმა როლის შემდეგ — რადგან იური (ბორზაკოვსკი) სწორედ დასკვნით სპრინტშია ძლიერი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა“. ძალიან დაძაბული საფინალი სპრინტი ბუხერმა ბორზაკოვსკის 0,07 წამით მოუგო და ამ ციქნა სხვაობამ „იააფის გრან პრის“ გამარჯვებული შეცვალა: ბუხერმა ჯონსონს 1 (!) ქულით გაუსწრო, მესამე კი იყო მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი სრულიად მრგვალი 100 ქულით, რისი დაგროვებაც მან მელბურნიში 1500 მეტრის მოგებით შეძლო.

ელ გურუჯისთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. კენიელმა ბერნარდ ლაგამა იცის, რომ მაროკოელის გვერდით რბენისას მისი უმაღლესი შედეგი მეორე ადგილი იქნება და ეს საქმე მელბურნიშიც პატიოსნად გააკეთა, ჩვენ კი სანამ შაბაშს ვიჭყიდეთ, მივუთითოთ, რომ მელბურნიში საკმაოდ უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — კენიელმა სტიპლინიზი წააგო. გუბებთან-თარგმნებთან 3000 მეტრის გაღვივებას ეშურებოდნენ რუბენ კოსგეი, სტივენ ჩერონი და კენიის სხვა რჩეული ხალხი, მაგრამ მიუღიო სეზონის მანძილზე პრინციპულად ან უფრო უარესად მაკლამა მაროკოელმა ბრაჰიმ ბულამიმ მელბურნიში ხელი გამოიღო. შაკვრებამან ყველა შვეი უკან მოიტოვა და თავის დისციპლინის საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია დაიკავა. თქმა არ უნდა, რომ მასზე წინ კენიელები დამკვიდრდნენ.

ახლა კი ის დროა, იააფ-ის ელიტარულ ასპარეზობათა სერიას წერტილი დაუუსვათ.

## დავით გულუსა



სტივის დრაგილას ჭოკმა მელბურნიშიც უერთგულა

რომლებთან პაექრობისას ბუხერი მუდამ ამგვარ სტრატეგიას მიმართავს — თავიდანვე წინ გაავრდება და სიჩქარის შენარჩუნებას ცდილობს. ასე იყო მელბურნიშიც. ავსტრალიის ნომერ მეორე ქალაქში კი ბუხერმა გაარკვია, რომ რბოლა „კურდღლების“ გარეშე იქნებოდა, ამიტომ ტაქტიკური ბრძოლა არჩია ჯიქურ მიწოლას. „ეს ძლიერ სახიფათო იყო — თქვა ბუხერმა როლის შემდეგ — რადგან იური (ბორზაკოვსკი) სწორედ დასკვნით სპრინტშია ძლიერი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა“. ძალიან დაძაბული საფინალი სპრინტი ბუხერმა ბორზაკოვსკის 0,07 წამით მოუგო და ამ ციქნა სხვაობამ „იააფის გრან პრის“ გამარჯვებული შეცვალა: ბუხერმა ჯონსონს 1 (!) ქულით გაუსწრო, მესამე კი იყო მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი სრულიად მრგვალი 100 ქულით, რისი დაგროვებაც მან მელბურნიში 1500 მეტრის მოგებით შეძლო.

ელ გურუჯისთვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. კენიელმა ბერნარდ ლაგამა იცის, რომ მაროკოელის გვერდით რბენისას მისი უმაღლესი შედეგი მეორე ადგილი იქნება და ეს საქმე მელბურნიშიც პატიოსნად გააკეთა, ჩვენ კი სანამ შაბაშს ვიჭყიდეთ, მივუთითოთ, რომ მელბურნიში საკმაოდ უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა — კენიელმა სტიპლინიზი წააგო. გუბებთან-თარგმნებთან 3000 მეტრის გაღვივებას ეშურებოდნენ რუბენ კოსგეი, სტივენ ჩერონი და კენიის სხვა რჩეული ხალხი, მაგრამ მიუღიო სეზონის მანძილზე პრინციპულად ან უფრო უარესად მაკლამა მაროკოელმა ბრაჰიმ ბულამიმ მელბურნიში ხელი გამოიღო. შაკვრებამან ყველა შვეი უკან მოიტოვა და თავის დისციპლინის საერთო ჩათვლაში მესამე პოზიცია დაიკავა. თქმა არ უნდა, რომ მასზე წინ კენიელები დამკვიდრდნენ.

ახლა კი ის დროა, იააფ-ის ელიტარულ ასპარეზობათა სერიას წერტილი დაუუსვათ.

ახლა კი ის დროა, იააფ-ის ელიტარულ ასპარეზობათა სერიას წერტილი დაუუსვათ.

## დავით გულუსა

რომლებთან პაექრობისას ბუხერი მუდამ ამგვარ სტრატეგიას მიმართავს — თავიდანვე წინ გაავრდება და სიჩქარის შენარჩუნებას ცდილობს. ასე იყო მელბურნიშიც. ავსტრალიის ნომერ მეორე ქალაქში კი ბუხერმა გაარკვია, რომ რბოლა „კურდღლების“ გარეშე იქნებოდა, ამიტომ ტაქტიკური ბრძოლა არჩია ჯიქურ მიწოლას. „ეს ძლიერ სახიფათო იყო — თქვა ბუხერმა როლის შემდეგ — რადგან იური (ბორზაკოვსკი) სწორედ დასკვნით სპრინტშია ძლიერი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა“. ძალიან დაძაბული საფინალი სპრინტი ბუხერმა ბორზაკოვსკის 0,07 წამით მოუგო და ამ ციქნა სხვაობამ „იააფის გრან პრის“ გამარჯვებული შეცვალა: ბუხერმა ჯონსონს 1 (!) ქულით გაუსწრო, მესამე კი იყო მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი სრულიად მრგვალი 100 ქულით, რისი დაგროვებაც მან მელბურნიში 1500 მეტრის მოგებით შეძლო.



აი, მოწინავე პროფესიონალები: ვიოლეტა სემკალი და ანდრე ბუხერი

## ვაშლი

3000 მ: 1. პოლ ბიტოვი (ვენია) 7.53,85; 2. კენენისა ბეველი (ეთიოპია) 7.54,39; 3. ლუკ კიპოსგეი (ვენია) 7.54,39  
ბადრო: 1. ვირჯილიუს ალენგა (ლიტვა) 64,42; 2. ალექსანდრე ტემერტი (ესტონეთი) 63,87; 3. ფრანც კრიუგერი (საშრეთ აფრიკა) 63,61

3000 მ. სტიპლინიზი: 1. ბრაჰიმ ბულამი (მაროკო) 816,14; 2. რუბენ კოსგეი (ვენია) 817,64; 3. სტივენ ჩერონი (ვენია) 818,85  
200 მ: 1. შონ კროფორდი (აშშ) 20,37; 2. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 20,39; 3. ფრანსის ობიკველე (ნიგერია) 20,52

სიგრძეზე ხტომა: 1. იუნეს მუდრიკი (მაროკო) 8,23; 2. სავანტე სპრინგფელდო (აშშ) 8,19; 3. ოლეტისი ლუკაშევიჩი (უკრაინა) 7,93  
800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1,46,7; 2. იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) 1,46,78; 3. ჟან პატრიკ ნდუევიამა (ბურუნდი) 1,46,88

შუბი: 1. იან ფელენი (ჩეხეთი) 88,98; 2. ერისტ რაგსი (ლატვია) 85,75; 3. ბორის ბენრი (გერმანია) 85,43  
110 მ. თარგმნები: 1. ანიერ გარსია (კუბა) 13,22; 2. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,28; 3. დომინიკ არნოლდი (აშშ) 13,43

1500 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3:31,25; 2. ბერნარდ ლაგამი (ვენია) 3:32,1; 3. უილიამ ჩირჩირი (ვენია) 3:34,06

ძალაში  
ურო: 1. კამილა სკოლიმოვსკა (პოლონეთი) 71,7; 2. ბრანდონ იგლიზი (აშშ) 68,38; 3. ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) 68,27  
სამსტომი: 1. ტერენა მარინოვა (ბულგარეთი) 14,77; 2. ტატიანა ლეხედევა (რუსეთი) 14,6; 3. ეტიენე ფრანსუაზა მბანგო (კამერუნი) 14,47

სიმაღლეზე ხტომა: 1. პეტრი კლუტი (საშრეთ აფრიკა) 1,98; 2. ინა ბაბაკოვა (უკრაინა) 1,96; 3. ემი ეგუფი (აშშ) 1,96  
400 მ. თარგმნები: 1. ტონია ბიუფორდ ბელი (აშშ) 54,58; 2. ტატიანა ტერენჩუკი (უკრაინა) 54,78; 3. სანდრა გლოგერი (აშშ) 55,01

ქოკით ხტომა: 1. სტივის დრაგილა (აშშ) 4,50; 2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,45; 3. კელი სატლი (აშშ) 4,45  
800 მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:59,78; 2. კელი სატლი (აშშ) 1:59,78; 3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 2:00,02; 3. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 2:00,40  
ბირთვი: 1. ასტრიდ კუმბერუსი (გერმანია) 18,94; 2. ნადეჟდა ოსტაპოვსკი (ბელარუსი) 18,82; 3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 18,21

## საბოლოო საბოლოო ჩათვლა

ვაშლი  
110 მ. თარგმნები: 1. ალენ ჯონსონი 80 ქულა (8 ტურნირი); 2. ანიერ გარსია (კუბა) 71 (8); 3. ტერენა მარინოვა (აშშ) 65 (8)

სიგრძეზე ხტომა: 1. კევი დილვორტი (აშშ) 78 (8); 2. პუსტინ თაბერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 64 (8); 3. სავანტე სპრინგფელდო (აშშ) 52 (8)

1500 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 76 (7); 2. ბერნარდ ლაგამი (ვენია) 73 (8); 3. ლამარ როტიკი (ვენია) 48 (6)  
3000 მ: 1. პოლ ბიტოვი (ვენია) 76 (8); 2. ლუკ კიპოსგეი (ვენია) 68 (7); 3. ბენჯამინ ლიზი (ვენია) 57 (8)

3000 მ. სტიპლინიზი: 1. კიპოტური მისი (ვენია) 61 (8); 2. უილიამ ბოიტი კიპკეტი (ვენია) 55 (6); 3. ბრაჰიმ ბულამი (მაროკო) 50 (6)  
800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 78 (7); 2. ჟან პატრიკ ნდუევიამა (ბურუნდი) 59 (8); 3. უილიამ იამბო (ვენია) 58 (8)

ბადრო: 1. ვირჯილიუს ალენგა (ლიტვა) 51 (6); 2. ვესლი ტიუნესი (კანადა) 47 (7); 3. ფრანც კრიუგერი (საშრეთ აფრიკა) 38 (6)  
შუბი: 1. ბორის ბენრი (გერმანია) 66 (8); 2. რაიმონდ ჰესტი (გერმანია) 60 (8); 3. დაროშ ტრადაში (პოლონეთი) 58 (8)

200 მ: 1. კროფორდი (აშშ) 20,37; 2. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 20,39; 3. ფრანსის ობიკველე (ნიგერია) 20,52  
1500 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3:31,25; 2. ბერნარდ ლაგამი (ვენია) 3:32,1; 3. უილიამ ჩირჩირი (ვენია) 3:34,06

ძალაში  
სიმაღლეზე ხტომა: 1. კამილა სკოლიმოვსკი (პოლონეთი) 71,7; 2. ბრანდონ იგლიზი (აშშ) 68,38; 3. ოლგა კუზნეცოვა (რუსეთი) 68,27  
სამსტომი: 1. ტერენა მარინოვა (ბულგარეთი) 14,77; 2. ტატიანა ლეხედევა (რუსეთი) 14,6; 3. ეტიენე ფრანსუაზა მბანგო (კამერუნი) 14,47

სიმაღლეზე ხტომა: 1. პეტრი კლუტი (საშრეთ აფრიკა) 1,98; 2. ინა ბაბაკოვა (უკრაინა) 1,96; 3. ემი ეგუფი (აშშ) 1,96  
400 მ. თარგმნები: 1. ტონია ბიუფორდ ბელი (აშშ) 54,58; 2. ტატიანა ტერენჩუკი (უკრაინა) 54,78; 3. სანდრა გლოგერი (აშშ) 55,01  
ქოკით ხტომა: 1. სტივის დრაგილა (აშშ) 4,50; 2. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 4,45; 3. კელი სატლი (აშშ) 4,45  
800 მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1:59,78; 2. კელი სატლი (აშშ) 1:59,78; 3. სვეტლანა ფეოფანოვა (რუსეთი) 2:00,02; 3. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 2:00,40  
ბირთვი: 1. ასტრიდ კუმბერუსი (გერმანია) 18,94; 2. ნადეჟდა ოსტაპოვსკი (ბელარუსი) 18,82; 3. სვეტლანა კრიველიოვა (რუსეთი) 18,21

## პროფესიონალი ჩათვლა

ფინალის შედეგები  
1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 102; 2. ალენ ჯონსონი (აშშ) 101; 3. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 100



# გერმანელი პეპელა ისპანეთში გაპირვლდა



სპინტის მეფე ერეკლე ზაბელი

შაბათს ველოსპორტის მესამე მთავარი მრავალდღიანი ტურნირი დაიწყო. პელოტონი სამი კვირის განმავლობაში ესპანეთს მოვიდა, ჯამში 2987,1 კილომეტრს გაივლის და ფინიში ხაზს მადრიდში გადაკვეთს, სადაც დასკვნითი ინდივიდუალური რბოლა გაარკვევს ჩემპიონს.

„ველიტასში“ ლენს არმსტრონგი და იან ულრიხი არ მონაწილეობენ, რაც მის პრესტიჟს ოდნავ ჩრდილს აყენებს — „ტურის“ გამარჯვებულ და მეორეადგილოსანს თუ აქვს მოსაგებად იბრძობებდნენ, ეს ძალიან დაძაბავდა ტურნირს. თუმცა ასე არ მოხდა, რაც მოსალოდნელიც იყო. სამაგიეროდ, აქამდე ესპანური არმადა, რომელსაც თავისი თანამემამულეების თვალწინ თავის გამოჩენის უდიდესი სურვილი აქვს და ძალებს არ დაზოგავს ამისთვის.

ორიოდ დღის წინ გაკეთებული განცხადებით კი იტალიელმა მთელი მარკო პანტანიმაც ცოტა გამოაცოცხლა შეჯიბრი. „მე აქ მოსაგებად ჩამოვედი, რათა ბოლო წლებში ჩემი გამოსვლით იმედგარეულები ქომაგები გავახარო“ — თქვა 1998 წელს „ჯიროსა“ და „ტურის“ ერთდროულად მომგებმა, რომელიც მერე ათას დობინგ-სკანდალში გაეხვია და ღირებული თითქმის აღარაფერი გაუკეთებია. ასე რომ, ესპანელ ფავორიტებს „მეკობრისაც“ უნდა ემინოდეთ.

„ველიტას“ დასასრულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და შესაბამისად საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებს, ჯერ ძნელი სათქმელია. ამიტომ ჯერჯერობით მხოლოდ განვლილი სამი ეტაპის შესახებ ვთქვათ.

ტრადიციისამებრ პირველი ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო, რომლის დროსაც მრბოლებმა 12 კილომეტრი დაფარეს განთქმულ საუნივერსიტეტო ქალაქ სალამანკას ქუჩებში. გამარჯვება დიდბრიტანელ დევიდ მილარს დარჩა, რომელმაც კოლუმბიულ სანტიაგო ბოტეროს ერთი წამით აჯობა.

ამით კოფიდისელმა ერთგვარი რევანში აიღო „ტურის“ პროლოგში დამარცხებისთვის. თუმცა მამინ მას ვინემე კი არ მოუგო, უბრალოდ, ფორტუნამ აქცია ზურგი და შოტლანდიელი ბოლო მოსახვევში წაიქცა. ამ წარმატებამ ისევე გამახარა, როგორც შარშან „ტურის“ პროლოგის მომგებამ. წლებიანი წაქცევა კარგად მასხვავდა და ამიტომ ყოველგვარი რისკის გარეშე დაეწივნე რბოლა. შუა დისტანციაზე მივხვდით, მო-

გება შემდეგ და მერე თავი აღარ დამიზოგავს“ — განაცხადა მილარმა, რომელსაც ოქტომბერში პორტუგალიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესოობა დაუსახავს მიხნაღ.

ლიდერის ოქროსფერი მისურას პირველმა მფლობელმა ძლივს მოუგო ბოტეროს. სამხრეთამერიკელი ფავორიტებზე დაახლოებით ერთი საათით ადრე გავიდა სტარტზე და ქართი ცაცხვებით დაეძაბა, ვიდრე მათ. ასე რომ, კოლუმბიელი მთიელი საერთო ჩათვლაში მშვენიერ პოზიციაზე მოხვდა და შეიძლება შორსმავალი მიხნები დაისახოს.

„ჯერჯერობით კიდევ ძალიან ბევრი ეტაპი დარჩა, ამიტომ დასკვნების გაკეთება ნაადრევია“ — თქვა ბოტერომ, რომელიც კმაყოფილი კი იყო მეტოქეებისთვის დროის მოგებით, მაგრამ პოლიუმზე რომ ვერ ავიდა, გული მანაც ძლიერ დასწყდა.

რაც შეეხებათ დანარჩენ ფავორიტებს, ლამის ყველამ შეძლო ასე თუ ისე მისაღებად გამოსვლა. ესპანელი იგორ გონსალეს დე გალდეანო მეოთხე იყო 17-წამიანი ჩამორჩენით, ხოსება ბელოკიმ 23 წამი დათმო, აბრაამ ოლანომ — 31, წლევიანდელი „ტურის“ აღმონენა ოსკარ სევილიამ კი მილართან 35 წამი წააგო. შვეიცარიელი ალექს ცულუ და „კუელტას“ შარშანდელი გამარჯვებული რობერტო ერასი 32-ე და 33-ე ადგილებზე გავიდნენ +46 წამით. ჯი-ლობერტო სიმონი ფინიშის ხაზის მიღწევას 54 წამით მეტი მოანდომა, ვიდრე მილარმა, პანტანიმ კი წუთითა და 43 წამით. ფავორიტთა სიას და საერთოდ ტურნირს კი ესპანელი მარკოს სერანო გამოაკლდა, რომელიც რბოლის დასაწყისში დაეცა და ნორმაზე მეტი მოანდომა დისტანციის გავლას. თანაც მას ექიმებმა საერთოდაც აუკრძალეს რამდენიმე კვირით ვარჯიში, რადგან მარჯვენა ლავიწი დაუზიანებია.

კვირას მეორე ეტაპი გაიმართა, რომელიც „ტურის“ ექვსეზის საუკეთესო სპინტერის, გერმანელი ერეკლე ზაბელის გამარჯვებით დასრულდა. სალამანკადან კალიადლიამდე ყველას „ტელევიზიის“ პეპელამ მიახლო, საერთო ჩათვლაში ლიდერობა კი დევიდ მილარმა შეინარჩუნა.

ეტაპის პროფილმა და პრემიალური სპინტების არარსებობამ სპინტერებს გაუწია დიდი სამსახური. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გამარ-

ჯვება რომელიმე მათგანს დარჩებოდა. თანაც ფრანგული „კოფიდისი“ მეტად მოწადინებელი ჩანდა მილარის ოქროსფერი მისურის შენარჩუნებით და მოიერიშეებს წარმატების თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ამიტომაც შეტევის ყოველი მცდელობა მალევე ჩაიშალა.

ყველაზე მეტი ესპანელმა ხოსე მანუელ ვასკესმა იწვალა და პელოტონს დაახლოებით სამწუთიანი უპირატესობაც დასტურა, მაგრამ ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე მას დაეწივნენ და საფინალო სპინტით გაიმართა. „ტელევიზიის“ ზაბელი მშვენივრად გამოაქანა და მის ბორბალში მჯღომ 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ოსკარ ფრეიერეს გერმანელის ვადსწარებისა უმცირესი შანსიც არ ჰქონია.

ორშაბათს მესამე ეტაპი ჩატარდა და ისიც ერეკლე ზაბელისა გამოდგა. ტელევიზიის ლენსამდე ყველას მიახლო და უბრალოდ ეტაპი კი არ მოიგო, არამედ თავისი კარიერის მანძილზე ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციით პირველად დაიბევა მსოფლიოში საუკეთესო მრბოლის სახელი. აქამდე პირველი ამერიკელი ლენს არმსტრონგი იყო, მაგრამ იგი „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ აღარსად გამოდის, ან თუ გამოდის რბოლას ვერ ან არ ამთავრებს და ამიტომაც აღზევდება ზაბელი თვის ბოლოს გამოქვეყნებულ რეიტინგში.

ზაბელმა ავსტრალიელ რობი მაკკინენსა და თანამემამულე დანილო პონდოს აჯობა ფინალურ სპინტში, რომლის დროსაც არგენტინელმა მარტინ გარიდომ და იტალიელმა ენდრიო ლომინი ერთმანეთს კარგი მუჯღუგუნები უთავაზეს, რისთვისაც აპენინელი დაისაჯა კიდევ.

ეტაპი მრავალი წაქცევითაც გამოირჩა. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინიშამდე ორიოდ კილომეტრით ადრე მიხნდა, რამაც პელოტონის ძირითადი ნაწილის გაწვევაც გამოიწვია. თუ მილარმა და ბოტერომ მანაც შეძლეს პელოტონის მოწინავე ნაწილში რბოლის დასრულება, სამაგიეროდ, საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე მყოფმა ამერიკელმა ლევი ლეფევერმა და ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა ესპანელმა ხოსება ბელოკიმ არცთუ მცირედი დათმეს მეტოქეებთან.

### ბაბი გურული

პირველი ეტაპი	
სალამანკა, ინდივიდუალური რბოლა, 12 კმ	
1. დევიდ მილარი (დეიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) 145თ 5668	
2. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) +58	
3. ლევი ლეფევერი (აშშ, პოსტალი) +6	
4. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +17	
5. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ონსე) +23	
მეორე ეტაპი	
სალამანკა — ვალიადოლიდი, 147,2 კმ	
1. ერეკლე ზაბელი (გერმანია, ტელევიზი) 3თ 345თ 2868	
2. ოსკარ ფრეიერი (ესპანეთი, მადრი) 3თ 345თ 2868	
3. რობი მაკკინენი (ავსტრალია, დომო) 3თ 345თ 2868	
4. ანდრიო ლომინი (იტალია, მილანეზა) 3თ 345თ 2868	
5. დევიდ ეჩებერია (ესპანეთი, ესკალტელი) +3	
მესამე ეტაპი	
ვალიადოლიდი — ლეონი, 140,5 კმ	
1. ერეკლე ზაბელი (გერმანია, ტელევიზი) 3თ 025თ 5058	
2. რობი მაკკინენი (ავსტრალია, დომო) 3თ 025თ 5058	
3. დანილო პონდო (გერმანია, ტელევიზი) 3თ 025თ 5058	
4. სერ ტეტენბერგი (გერმანია, ფესტინა) 3თ 025თ 5058	
5. ლუკა პაოლინი (ბელგია, მადრი) 3თ 025თ 5058	
სამართო ჩათვლა	
1. დევიდ მილარი (დეიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) 5თ 525თ 1768	
2. სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) +1	
3. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ონსე) +17	
4. ხოსე ბუტეროსი (ესპანეთი, კელმე) +25	
5. პედრო მონიოსი (იტალია, მადრი) +28	

# ხუთი წელიწადი ბრისბენში ხუთი რგოლისთვის სამი რგოლს ასხამენ

ავსტრალიელმა ისევ ოლიმპიადის მასპინძლობაზე ალაპარაკდნენ. მელბურნისა და სიდნეის შემდეგ ოლიმპიური თამაშების ბრისბენში გამართვის სურვილი ქვისსენდის შტატის პრემიერმა პიტერ ბიტიმ გამოთქვა. ქვისსენდელს სადრედილი მას შემდეგ აქვდა, რაც კეთილი ნების თამაშების მასპინძლობას შტატის დელეგატებმა ბრისბენმა წარმატებით გაართვა თავი.

„ბრისბენმა დაგვანახა, რომ მასაც შესწევს უნარი, უმასპინძლოს სპორტის უმაღლეს ღონისძიებას. ამასთანავე, მის განსახორციელებლად აქვს შესაძლებლობაც და ენთუზიაზმიც — გვამცნობს ბიტი — ეს მომავლის საქმეა, ამიტომაც ზუსტ თარიღს არ დავასახვებ“.

მეუბნედავდ იმისა, რომ ბიტიმ არ გამახილა, როდის შეუდგებიან შესაძლო ოლიმპიადის მასპინძლობისთვის სერიოზულ მზადებას, ერთი რამ მაინც ცნობილია — ქვისსენდელები

საოლიმპიადო კამპანიას სულ ცოტა 2012 წლამდე არ წამოიწყებენ. პრემიერის თქმით, ჯერ ნაადრევია ზუსტად რამდენი განსაზღვრა, რადგან ამისთვის კადრების ჩამოყალიბება საჭიროა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტითაა, თუ მთლიანად აქედანვე დაუჭერით, რომ ოლიმპიადის მასპინძლობა ბევრად უფრო რთული საქმეა, ვიდრე კეთილი ნების თამაშების გამართვა.

ბუნებრივია, არის განსხვავება თუ ბრისბენის კეთილი ნების თამაშები 12 დღეს გაგრძელდა და მხოლოდ 1300 სპორტსმენს მოუყარა თავი, სიდნეის ოლიმპიადამ 17 დღის განმავლობაში 10 ათას ოლიმპიელს უმასპინძლა.

სხვათა შორის, პირველად არ ხდება, რომ ბრისბენელი ოლიმპიადის მასპინძლობის სურვილი გამოთქვამენ. მათ ეს 1992 წელსაც სურდათ, მაგრამ მამინ ბარსელონამ პირველობა არავის დაუთმო.

# იაპონიის ოლიმპიადის მამა აღარ ჰყავს

იაპონიის ეოკის მცხოვანი ხელმძღვანელი ის-ის იყო, 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლი კანდიდატი ქალაქის, ოსაკას საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური დამსმის ცერემონიისთვის ემზადებოდა, რომ სასტუმროს საუნაში გულწასული იპოვეს. 72 წლის იოშირო იაგი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ ექიმთა ორსაათიანი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. პიპოკრატის მსახურებმა მას ვერაფერი უშველეს და ვერც ის დააკვეს, თუ რამ გამოიწვია სიკვდილი.

იაპონიის ეოკ-სა და იაგის ოჯახის წევრებს თანაუგრძობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც.

ის რომ 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება პეკინმა მოიპოვა და არა მისმა ერთ-ერთმა უმთავრესმა კონკურენტმა პარიზმა, ამის გარკვეული მიზეზები არსებობს. პარიზისთვის უმთავრესი ხელისშემშლელი ფაქტორი ის გახლდათ, რომ ოლიმპიადების კონტინენტური კონტინენტზე მონაცემების პრინციპი არ დარღვეულიყო ყოველივე ამის გათვალისწინებით, სოკის პრეზიდენტმა ფაკ როგმა პარიზელს თხოვნით მიმართა, ყურებს ნუ ჩამოყრით და თქვენი კანდიდატურა 2012 წლისთვის ხელახლა წამოაყენეთ. ამის შესახებ იტყობინება საფრანგეთის ეოკ-ის ოფიციალური ვებ გვერდს WWW.FRANCEOLYMPIQUE.COM-ში გამოქვეყნებული როგის ინტერვიუ. იგი თვლის, რომ პარიზელთა მეორე მცდელობა შესაძლოა წარმატებით დასრულდეს.

„ნასიაზმონები დაგრჩები, თუ პარიზი 2012 წლის ოლიმპიადისთვის ბრძოლას გააგრძელებს. ისტორიამ არაერთხელ გვიჩვენა, რომ მეორედ კანდიდატურის წამოყენებას ხეირი მოაქვს, თუმცა ნურც ის დაგვაინფიცებს, რომ კანდიდატ ქალაქებთან უშედეგო ბრძოლები გარდაუვალია. გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, იტალია და რუსეთი უეჭველად საუკეთესოდ წარმოაჩენენ თავს. „პარიზი 2008“ ტექნიკურად უმაღლეს დონეზე იყო გამართული. საფ-

# ვისზე ნაკლებად იმსახურებენ?

შვეიცარიას ოლიმპიურ მოძრაობაში რომ დიდი დამსახურება მიუძღვის, ამას ფიცი-მტკიცე არ სჭირდება. საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა უმეტესობასაც ხომ ამ ქვეყანაში მოუყარა თავი, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაზე. ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე რომელი ქვეყანა არ ოცნებობს და ამიტომ რა გასაკვირი, ასეთი სურვილი თავად შვეიცარიელებსაც რომ გაუჩნდეთ. მით უმეტეს, თუ თანამემამულეთა წამოწყებას ქვეყნის ხელისუფალიც მხარს უჭერენ. შვეიცარიის დელეგატებმა 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის იდეას ახლანაჲ ქვეყნის პარლამენტშიც კი უყარეს კენჭი. ხმათა უმრავლესობამ, სულ კი ასეთი 24 მოგროვდა, ბერნს მწვანე შუქი აუთო. 2010 წლის ოლიმპიადის დელეგატების არჩევნებში, რომელიც 2003 წელს გაიმართა, ბერნს ავსტრიის ზალცბურგისა და კიციბუელის გარდა, კანადურ ვანკუვერთანაც მოუწევს ჭიდილი.

ბიბა გურასაშვილი



# ბავშვები კონგრესზე

ამერიკის პირველ ლედის, ლაურა ბუშს (მარცხნიდან მეორე ზედა რიგში) კონგრესის ბიბლიოთეკაში მიუწვევია აბინგტონის დაწყებითი სკოლის მოწაფეთა კლასი და იქ შაბაჯის კაცთა და ქალთა კალათბურთის ვარსკვლავები, ორლანდოელი ვრანტ ჰელი (შუაში) და ლაიზა ლესლი (მარჯვნიდან პირველი) დაუხვედრებიან. ბავშვებმა უნდა იხილონ



REUTERS ფოტოგრაფიდან



## ვუელტაზე გაპარსული

მსპანეთში ვუელტას მესამე დღე ჩაივლია. საერთო ღიადრობას ბრიტი მრბოლი დევიდ მილარი ინარჩუნებს, თუმცა, ეს ხელს არ უშლის ცხრილის შუაში ჩაჯარგულ იტალიელ კლიო ავიანოს კარგ ხასიათზე იყოს. მისი სახალხო წვეურის პარსვა მპარსველთა მოხდენილობით იქცევა ყურადღებას.



## გაისადას

ასპიში რამ არასოდეს მომხდარა ყოფილ საბჭოეთში. ლიტვის კალათბურთულ ქალთა ნაკრების სამმა წევრმა სიმშვილით მოიწონა თავი განთქმული ბალტიური ჟურნალის გარეკანზე. მართალია, ვოგონებმა მოხერხებულად აიფარეს ბურთები, მაგრამ კალათბურთზე შეშლილ და იმავდროულად მტკიცედ კათოლიკურ ლიტვაში ამ ფოტოს იოლად არავინ შეხედავს. ვოგონები ასე იმიტომ მოქცეულან, რომ ერის ყურადღება მოახლოებული ქალთა ევროპის ჩემპიონატისკენ მიეპყროთ და ხალხიც ჩაეფიქრებინათ, ვაჟთა კალათბურთით რომ ასე გვიყვარს, ჩვენმა ქალთა გუნდმა რა დაგვიშავაო.



REUTERS ბანია ლუკადან

## კარაჯიჩის ამარსხედაო

იუმოსლავიელ კალათბურთელთა მიერ თურქთა ძლევამ და ევროპის ჩემპიონობის კიდევ ერთხელ მოპოვებამ დიდად გაახარა იუგოსლავიელი ხალხი. განსაკუთრებით ხარობდნენ სერპსკ კრინაში, ბოსნიის სერპულ ნაწილში, სადაც ბარე ათ ნელინადს მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები სერბებსა და მუსლიმებს შორის. იტაურ ქალაქ ბანია ლუკას ქუჩებში გამოვლენა ხალხმა ზეითან ერთად მუსლიმებთან ისტორიული მტრობაც გაიხსენა და თურქთა სპორტულ ძლევას კრინას პრეზიდენტის, ან სადაც დამალული რადოვან კარაჯიჩის სახელი დაუკავშირა. აქ აფრიალებულ მაისურაზე სწორედ კარაჯიჩია გამოხსახული. ამ კაცს ახლა მთელი მსოფლიოს პოლიცია დაეძებს, რათა პაგამი ჩაიყვანოს და კაცობრიობის ნინაამდევ ჩადენილ დანაშაულებებსა და მუსლიმთა გენოციდში დასდოს ბრალი.

## ბრიუსელის მუჩაზე

ბელგიის პრემიერ-მინისტრი გი ფერპოფშტადტი (მარცხნივ) და ლეგენდარული ველომრბოლი ედი მერქსი (მარჯვნივ) რუინის ცხენებზე გადაძვადრან და ბრიუსელის მოახლოებული ველოტურის ამბებს განსჯიან. ასეთი ქალაქია ეს ბრიუსელი, გამოხვედა ქუჩაში და პრემიერ-მინისტრი ველოსიპედზე ზის.



REUTERS ბრიუსელიდან

**სარბიელი**  
სკორტული გაჯეტი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საშაბათს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
ლიტერატორი გიორგი მამუკაძე  
რედაქტორი თამაზ მიხრაიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი პასტანა ბუჩქაძე  
ფეხბურთის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობახიძე  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქტორი

რედაქციის რედაქტორია ვია ახალაძე, ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი, კორნელი დენტი ქუთაისში თუბა კაციტაძე ფოტორეპორტორები გურამ დოღენაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მანა აბინაძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გულუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუგუტაძე, სვეტლანა დევიძე, მანა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნიანი  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
კეჭავაძის გამზირი 42, II  
ქორაპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო  
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarblieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
http://www.sarblieli.com.ge